# გეოგრაფია

## 2. საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

სოციალური მეცნიერების ბაკალავრი - გეოგრაფია

## 3. პროგრამის კოორდინატორები:

სრული პროფესორები გიორგი გოგსაძე და იოსებ სალუქვაძე

## 4. საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

**პროგრამის მიზნები:**
საზოგადოებრივი გეოგრაფიის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ მსოფლიოში, მის ცალკეულ რეგიონებსა და ქვეყნებში არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემებისა და პროცესების სივრცითი/გეოგრაფიული გამოვლინებების ახსნა, შეფასება და ზოგადი ანალიზი.
საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა მოწოდებულია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა:

- შეიძინოს სამეცნიერო და სტატისტიკური მასალების მოგროვების, განზოგადების და პირველადი ანალიზის უნარ-ჩვევები. დაეუფლოს გეოინფორმაციული სისტემების / ტექნოლოგიების საფუძვლებს;
- დაეუფლოს ცოდნას ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენებისა და მართვის პრინციპების შესახებ;
- დადგინოს სოციალურ-კულტურული სფეროსა და საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის ტერიტორიული განლაგების კანონზომიერებების; ტურისტულ-რეკრეაციული და სხვა არასაწარმოო სფეროების (მესამეული და მეოთხეული დარგების) ტერიტორიული სისტემების ფორმირებისა და ფუნქციონირების გეოგრაფიული პრინციპების თავისებურებები;
- მიიღოს ცოდნა მოსახლეობის მოძრაობის, სტუქტურის, ხარისხის და განსახლების ტერიტორიული თავისებურებებისა და კანონზომიერებების შესახებ;
- შესწავლოს და გააანალიზოს საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციისა და მასში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების სივრცითი თავისებურებები;
- შეიძინოს ცოდნა მსოფლიოს, მისი რეგიონებისა და ცალკეული ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებისა და კანონზომიერებების შესახებ;

**სწავლის შედეგი:**

საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად სტუდენტებს გამოუმუშავდებათ:

- საზოგადოებრივი გეოგრაფიის ძირითადი კონცეფციების, გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების სივრცითი თავისებურებებისა და კანონზომიერებების, გლობალური ძვრებისა და საზოგადოებრივი განვითარების ზოგადი ტენდენციებისა და ტერიტორიული/რეგიონული სხვაობების აღქმისა და განსაზღვრის უნარ-ჩვევები:;
- სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტერიტორიული სისტემების, საზოგადოებრივი განვითარების პროცესებისა და მოვლენების ახსნისა და ზოგადი ანალიზის; საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მონიტორინგის, პროგნოზირების, ექსპერტიზის და მართვის/მენეჯმენტის საფუძვლების განზოგადების უნარ-ჩვევები:;
- საზოგადოებრივ გეოგრაფიულ კვლევებში ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენება; გეოგრაფიული ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვის, წარმოდგენის, ასევე გეოინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლების გამოყენების უნარ-ჩვევები:.
- წერითი და ვერბალური კომუნიკაციების უნარ-ჩვევები

**5. დასაქმების სფეროები:**

საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის შესაძლო სფეროებს წარმოადგენს: სამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის დიპლომატიური სამსახურები); საგანმანათლებლო, გეგმარებითი, გარემოსდაცვითი და ტურისტული დაწესებულებები; არასამთავრობო სექტორი და კომერციული სტრუქტურები.

**6. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:** ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

## პროგრამის კურიკულუმი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **საფაკულტეტო სასწავლო კურსები / მოდულები** | | | | |
| **საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო სასწავლო კურსები / მოდულები** | | | | |
| **კოდი** | **კურსის/მოდულის სახელწოდება** | **ECTS** | **საგანზე/მოდულზე** | **სწავლების** |

| | | კრედიტები | დაშვების წინაპირობა | სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის) |
|---|---|---|---|---|
| 1. | შესავალი სოციალურ კვლევის მეთოდებში | 5 | ერთი რომელიმე შესავალი კურსი 7 არჩევითი შესავალი კურსიდან: ფსიქოლოგიის შესავალი, სოციოლოგიის შესავალი, სოციალური მუშაობის შესავალი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი, პოლიტიკური მეცნიერების შესავალი, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, ჟურნალისტიკის შესავალი | შემოდგომის/გაზაფხულის |
| 2. | სტატისტიკა 1 | 5 | – | შემოდგომის |
| 3. | ინგლისური ენა 1 | 5 | ინგლისური ენის ცოდნა A2 დონეზე | შემოდგომის/გაზაფხულის |
| 4. | ინგლისური ენა 2 | 5 | ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე | შემოდგომის/გაზაფხულის |

**საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი სასწავლო კურსები / მოდულები**

| **კოდი** | **კურსის/მოდულის სახელწოდება** | **ECTS კრედიტები** | **საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა** | **სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)** |
|---|---|---|---|---|
| 1. | ანთროპოლოგია | 5 | – | გაზაფხულის |
| 2. | გამოყენებითი ეკონომიკა | 5 | – | შემოდგომის |
| 3. | ლოგიკა | 5 | – | შემოდგომის/გაზაფხულის |
| 4. | ფსიქოლოგიის შესავალი | 5 | – | შემოდგომის/გაზაფხულის |
| 5. | შესავალი სოციალურ მუშაობაში | 5 | – | შემოდგომის/გაზაფხულის |
| 6. | ჟურნალისტიკის შესავალი | 5 | – | გაზაფხული ან შემოდგომა |
| 7. | შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში | 5 | – | შემოდგომის/გაზაფხულის |
| 8. | სოციოლოგიის შესავალი | 5 | – | შემოდგომის/გაზაფხულის |
| 9. | საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი | 5 | – | შემოდგომის/გაზაფხულის |
| **კოდი** | **კურსის/მოდულის სახელწოდება** | **ECTS კრედიტები** | **საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა** | **სწავლების სემესტრი (შემოდგომის/** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | **გაზაფხულის)** |
| 1. | საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი | 5 | – | შემოდგომის, გაზაფხულის |
| 2. | აკადემიური წერა | 5 | – | შემოდგომის/გაზაფხულის |
| 3. | შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში | 5 | – | შემოდგომის |
| 4. | ეკონომიკური და სოციალური კარტოგრაფია | 5 | – | შემოდგომის |
| 5. | ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია | 5 | – | გაზაფხულის |
| 6. | საქართველოს საზოგადოებრივი<br><br>გეოგრაფია | 5 | – | შემოდგომის, გაზაფხულის |
| 7. | ინგლისური ენა III, IV, V, VI | 20 | – | შემოდგომის, გაზაფხულის |
| 8. | საზ. გეოგრაფია და სოციალური თეორიები | 5 | – | შემოდგომის |
| **სპეციალობის (სპეციალიზაციის) სავალდებულო–არჩევითი კურსები / მოდულები** | | | | |
| **კოდი** | **კურსის/მოდულის სახელწოდება** | **ECTS კრედიტები** | **საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა** | |
| 1. | ტურიზმისა და რეკრეაციული გეოგრაფიის საფუძვლები, მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია | 10 | – | შემოდგომის |
| 2. | ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია | 10 | 1.საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი;<br>2. საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი | გაზაფხულის |
| 3. | მსოფლიოს ქალაქები: გეოურბანისტიკის საფუძვლები | 5 | – | გაზაფხულის |
| 4. | მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია | 10 | – | შემოდგომის, გაზაფხულის |
| 5. | ახლო აღმოსავლეთის | 5 | – | გაზაფხულის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საზოგადოებრივი გეოგრაფია | | | |
| 6. | პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფია | 5 | – | გაზაფხულის |
| 7. | მოსახლეობის გეოგრაფია | 10 | – | შემოდგომის |
| 8. | ეკონომიკური გეოგრაფიის საფუძვლები და მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფია | 10 | – | გაზაფხულის |
| 9. | კულტურის გეოგრაფია | 5 | – | გაზაფხულის |
| 10. | პოლიტიკური იდეოლოგიები | 5 | – | შემოდგომის |
| 11. | შედარებითი პლიტიკა | 5 | შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში | გაზაფხულის |
| **პრაქტიკა** | | | | |
| | **პრაქტიკა** | **ECTS კრედიტები** | **პრაქტიკის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი)** | **სწავლების სემესტრი/სემესტრები** |
| 1. | ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა | 5 | სავალდებულო | გაზაფხულის (ივლისი) |
| 2. | რეგიონის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა | 5 | სავალდებულო–არჩევითი | გაზაფხულის (ივლისი) |
| **საბაკალავრო ნაშრომი** | | | | |
| | **საბაკალავრო ნაშრომი** | **ECTS კრედიტები** | **საბაკალავრო ნაშრომის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი)** | **სწავლების სემესტრი/სემესტრები** |
| 1. | საბაკალავრო შრომა | 10 | სავალდებულო | გაზაფხულის (ივნისი) |